სალიცენზიო ხელშეკრულება N 2873 WJ- 11

(ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულების შესახებ (CPV კოდი: 98110000))

ქ. თბილისი

15 თებერვალი 2016 წელი

ერთი მხრივ, ააიპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი თავმჯდომარის ზურაბ წერეთელის სახით და მეორე მხრივ, ააიპ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ს/კ 202065415 (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი გამგეობის თავმჯდომარის გიგა კობალაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ორივე ერთად მოხსენებული როგორც „მხარეები"), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების შესაბამისად, მხარეთა ორმხრივი ინტერესებისა და ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

პრეამბულა

მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება სრულად გამოხატავს მათ ნებას და თანაბრად იცავს ორივე მხარის უფლებებს, არც ერთი მხარე არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით.

მხარეები სრული პასუხისმგებლობით ადასტურებენ და იძლევიან გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალებელ სამართლებრივ დოკუმენტს.

მხარეები არაორაზროვნად და სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ თითოეული მათგანი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ტერმინთა განმარტება

- **„კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია"** – საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია.
- **„ავტორი"** – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები.
- **„უფლების მფლობელი"** – ავტორი, ავტორის მემკვიდრე ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი.
- **„შემსყიდველი"** – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს (ან/და ორგანიზებას უწევს) მიმწოდებლის რეპერტუარს მიკუთვნებული ნაწარმოებების საჯარო შესრულებას.
- **„მიმწოდებლის რეპერტუარი"** – როგორც საქართველოს ავტორთა, ან მათ მემკვიდრეთა და/ან საავტორო უფლებების სხვა მფლობელთა, ასევე უცხოეთის ანალოგიურ საავტორო-სამართლებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთწარმომადგენლობის თაობაზე დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებ(ებ)ი, რომელთა ავტორებმა, მათმა მემკვიდრეებმა და/ან უფლების სხვა მფლობელებმა თავიანთი საავტორო ქონებრივი უფლებები კოლექტიურ საფუძველზე სამართავად გადასცეს მიმწოდებელს. აგრეთვე იმ ავტორთა ნაწარმოებები, რომლებსაც არ გადაუციათ თავიანთი უფლებები მიმწოდებლისათვის კოლექტიურად სამართავად.
- **„მიმწოდებელი"** - „კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია" – საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია.
- **„საჯარო შესრულება"** - ნაწარმოების წარმოდგენა დეკლამაციის, თამაშობის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით, რომელიც შეიძლება აღქმული იყოს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და რომელსაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს.
- **"მთლიანი შემოსავალი"** - ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოსარგებლემ მიიღო ბილეთების რეალიზაციის შედეგად.
- **„შემსრულებლისათვის გადახდილი ჰონორარი"** - ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოსარგებლემ გახარჯა შემსრულებლ(ებ)ისათვის ჰონორარის გადასახდელად.
- **„ღონისძიების ბიუჯეტი"** - ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოსარგებლემ გახარჯა ღონისძიების განსახორციელებლად.

/გიგა კობალაძე/
ხელმოწერა

/ზურაბ წერეთელი/
ხელმოწერა

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელი გასცემს შემსყიდველზე ნებართვას (ლიცენზიას) მიმწოდებლის რეპერტუარს მიკუთვნებული მუსიკალური ნაწარმოებების საქართველოს ტერიტორიაზე საჯარო შესრულების შესახებ (შემდგომში „ლიცენზია") (CPV კოდი: **98110000**));

1.2. შემსყიდველის მხრიდან ლიცენზიის ფლობა, არ აძლევს უფლებას შემსყიდველს განახორციელოს ნაწარმოების სხვა სახით გამოყენება, გარდა ამ სალიცენზიო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებისა. შემსყიდველისადმი ამ შეთანხმების ფარგლებს გარეთ დარჩენილი უფლებების შელახვის თაობაზე პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში იგი პასუხს აგებს კანონის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

2.1. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაიხადოს ჰონორარი „მიმწოდებლის" მიერ დადგენილი განაკვეთების (ტარიფების) შესაბამისად, რომელიც დაერთვის სალიცენზიო შეთანხმებას და განიხილება მასთან ერთობლიობაში. გამომდინარე აქედან წინამდებარე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7000 (შვიდი ათასი) ლარს (შემდგომში ჰონორარი).

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს/გადასახდელს რომლის გადახდის ვალდებულებაც ეკისრება მიმწოდებელს;

2.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საავტორო ჰონორარის თანხა ღონისძიების ჩატარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში. შემსყიდველის მიერ საავტორო ჰონორარის გადახდა იწარმოება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.4. შემსყიდველის მიერ გადასახდელი საავტორო ჰონორარის ოდენობა დგინდება ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დანართით.

3. მომსახურების მიწოდების მიწოდების პირობები და ვადები

3.1. მომსახურების მიწოდების ადგილია ქალაქი თბილისი.

3.2. მხარეები ცნობად იღებენ და ადასტურებენ რომ მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის შემსყიდველისათვის გადაცემა განხორციელდა 2016 წლის 15 თებერვალს; შემსყიდველს ზემოაღნიშნული ლიცენზიით სარგებლობის უფლება აქვს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, საკუთარი თანამშრომელს/თანამშრომელთა ჯგუფს ან/და ნებისმიერ მესამე პირს მეშვეობით (შემდგომში „მონიტორინგის ჯგუფი").

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი.

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, საკუთარი თანამშრომელს/თანამშრომელთა ჯგუფს ან/და ნებისმიერ მესამე პირს მეშვეობით (შემდგომში „მონიტორინგის სამსახური").

4.4. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს მოთხოვნისთანავე შესამოწმებლად წარუდგინოს საავტორო ჰონორარის გადახდას დაქვემდებარებული თანხების გაანგარიშება, აგრეთვე ყველა ის

ხელმოწერა /თეა კობალაძე/

ხელმოწერა /ზურაბ წერეთელი/

დოკუმენტი, რაც დაკავშირებულია ჰონორარის გაანგარიშებასთან, ან შეიცავს საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენების შესახებ ზუსტ ცნობებს.

4.5. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას დაუშვას მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი ნაწარმოებების საჯარო შესრულებასთან (ჩვენებასთან) დაკავშირებულ ღონისძიებებზე საკონტროლო მოსმენის/დათვალიერების/მონიტორინგის ჩასატარებლად საჯაროდ შესრულებული ნაწარმოებების აღრიცხვის მიზნით და გამოუყოს მას შესაბამისი სამუშაოს შესრულების ადგილი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველი ვალდებულია აწარმოოს ფაქტობრივად გამოყენებული მუსიკალური ნაწარმოებების აღრიცხვა და ღონისძიების ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, წერილობით წარუდგინოს მიმწოდებელს ინფორმაცია საჯაროდ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებების შესახებ.

5.2. საავტორო უფლებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულება თითოეულ ღონისძიებაზე ხორციელდება სალიცენზიო ხელშეკრულების დანართის თანახმად, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5.3. ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია შემსყიდველმა უნდა წარმოადგინოს მიმწოდებლის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

5.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაცია წარდგენილად ჩაითვლება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის ამ ლიცენზიაში მითითებულ რეკვიზიტებზე (მათ შორის ელ-ფოსტაზე) მისი გაგზავნისა და მიმწოდებლის მხრიდან აღნიშნული ინფორმაციის მიღების დადასტურების შემთხვევაში.

5.5. შემსყიდველი პასუხისმგებელია მიმწოდებლისადმი წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

5.6. შემსყიდველს ამ ლიცენზიით უფლება არ აქვს მიმწოდებლის წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს ან დაუთმოს მესამე მხარეს მიმწოდებლის რეპერტუარს მიკუთვნებული მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულების უფლება.

5.7. მიმწოდებელი უფლებამოსილია აუკრძალოს შემსყიდველს ერთი ან რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ავტორის, ან საავტორო ქონებრივი უფლებების სხვა მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე.

5.8. მიმწოდებელი ვალდებულია დაარეგულიროს შემსყიდველის მიმართ ავტორთა, ან მათ მემკვიდრეთა და საავტორო ქონებრივი უფლებების სხვა მფლობელთა შესაძლო პრეტენზიები საავტორო ჰონორართან დაკავშირებით ყველა იმ უფლების ფარგლებში, რომელიც გადაცემულია შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით.

6. ფორს მაჟორი

6.1. არც ერთ მხარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი დარღვევისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ისეთი გარემოებების გამო, როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, სტიქიური უბედურებანი, ომი და სამარი მოქმედებანი, ხელისუფლების მიერ მიღებული ამკრძალავი ნორმები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

6.2. მხარე, რომლისთვისაც 6.1. მუხლში აღნიშნული მიზეზების გამო შეუძლებელი შეიქმნა დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია მისი დადგომის და დამთავრების მომენტიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

6.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს–მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ახალი გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო შესრულება გაუმართლებელია და შემსყიდველმა დაკარგა ხელშეკრულების შესრულებისადმი ინტერესი.

7. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

7.1. თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გონივრულ ვადაში წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,

/ ... /
ხელმოწერა

/ ... /
ხელმოწერა

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. დავის განხილვის წესი

8.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

8.2. მოლაპარაკებების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. გარანტიები

9.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა დავას, რომელსაც მესამე პირი წამოჭრის შემსყიდველის მიმართ მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენების შედეგად ჰონორარის მიღების, ან/და განაწილების მიზნით, წყვეტს მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

9.2. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველის მიერ ნაწარმოებების მოპოვების წყაროს კანონიერებასთან დაკავშირებით და აღნიშნულთან დაკავშირებული დავა შემსყიდველსა და ნებისმიერ მესამე პირს შორის დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმწოდებლისგან დამოუკიდებლად.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისას

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში დაკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო (შემდგომში „პირგასამტეხლო") ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

10.2. ჰონორარის გადახდის და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ვადების დარღვევისათვის, ასევე არასწორი და/ან არასრული ინფორმაციის წარდგენისათვის, მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა მიმდინარე პერიოდში გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადაჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს ან/და მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება;

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს მხარეთა უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ. პირგასამტეხლოს მიღების უფლება მეორე მხარისათვის მოპოვებულად ითვლება და შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადახდას, დამრღვევი მხარისათვის წინასწარი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემდგომ, ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა განხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის თარიღისა.

10.5. საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11. კონფიდენციალურობა

11.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას არ გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში და მხარეთა ორგანიზაციული ინტერესებიდან გამომდინარე წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

/ გიგა კობალაძე /
ხელმძღვანელი

/ ზურაბ წერეთელი /
ხელმძღვანელი

12.1. მხარეები ადასტურებენ, რომ მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 2016 წლის 15 თებერვლიდან, შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2016 წლის 15 თებერვალს და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს შემსყიდველის ინიციატივით ვადაზე ადრე, საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის, საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების გამოყენებისგან უარის თქმის და/ან სხვა ისეთი გარემოებების არსებობისას, რაც ათავისუფლებს მას საავტორო ჰონორარის გადახდისაგან, რა შემთხვევაშიც მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს მიმწოდებელს არაუგვიანეს ორი კვირით ადრე იმ თარიღამდე, საიდანაც ხელშეკრულება ექვემდებარება შეწყვეტას. ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეთა შორის ფორმდება ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

12.3. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ჰონორარის გადახდის ვადის სამოც კალენდარულ დღეზე მეტი დროით გადაცილების და/ან არაზუსტი და/ან არასრული ინფორმაციიის წარდგენის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4. ხელშეკრულება წყდება მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის 12.3 პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდგომ შემსყიდველისათვის წერილობითი შეტყობინების ჩაბარებისთანავე.

12.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად, ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ჰონორარის გადახდასთან და ინფორმაციის წარმოდგენასთან დაკავშირებული ვალდებულებები ძალაში რჩება მათ შესრულემაბდე.

12.6. ხელშეკრულების შეწყვეტა შემსყიდველს ართმევს მიმწოდებლის რეპერტუარს მიკუთვნებული ნაწარმოებების შემდგომი გამოყენების უფლებას იმ მომენტამდე, სანამ, კანონით დადგენილი წესით არ მიიღებს სათანადო წესით გაფორმებულ ნებართვას.

12.7. მიმწოდებელს, თავის მხრივ ეკისრება მტკიცების ტვირთი ხელშეკრულების ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების დადასტურების შესახებ.

12.8. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი დასაბუთების გარეშე ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მას ზიანის ანაზღაურება სრული ოდენობით.

12.9. მხარეთა შორის შეტყობინების გაგზავნა მოხდება ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ რეკვიზიტებზე. რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეებმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობონ ერთმანეთს.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. თუ რომელიმე ავტორი, მისი მემკვიდრე და/ან სხვა უფლებამფლობელი ამოიღებს თავის ნაწარმოებს მიმწოდებლის რეპერტუარიდან მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს სამი სამუშაო დღისა წერილობით (მათ შორის ელ-ფოსტით) აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ. მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველისათვის აღნიშნულის შეუტყობინებლობის შემთხვევაში მას არ აქვს უფლება დააკისროს შემსყიდველს პასუხისმგებლობა იმ მუსიკალური ნაწარმოების სარგებლობის ლიცენზიის და/ან სათანადო ნებართვის არქონის გამო, რომელიც ავტორის, ავტორის მემკვიდრის და/ან უფლებათა სხვა კანონიერი მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე ამოღებულ იქნა მიმწოდებლის რეპერტუარიდან და რომელიც შემსყიდველს შეძენილი ჰქონდა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები ადასტურებენ, რომ დაუშვებელია შემსყიდველის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის და/ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებების დარღვევის გამო, თუ შემსყიდველს, როგორც კეთილსინდისიერ მხარეს გაფორმებული ჰქონდა სათანადო ხელშეკრულება და ჰქონდა ობიექტური საფუძველი და სამართლიანი მოლოდინი, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედება იყო სათანადო ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე განხორციელებული. ამასთან, შემსყიდველი უფლებამოსილია რეგრესის წესით მოსთხოვოს მიმწოდებელს ზიანის ანაზღაურება ყველა იმ მატერიალური დანაკარგისათვის, რომელიც დაეკისრა მას და/ან ზემოაღნიშნული შეთანხმების მხარეს.

13.2. მხარეები ვალდებული არიან დროულად, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს რეორგანიზაციის და/ან ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, დაწყებიდან არა უგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში და მათ ხელთ არსებული ობიექტური შესაძლებლობების ფარგლებში აცნობონ ერთმანეთს ამ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტის ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარის მიერ განხორციელებული ქმედება (ამ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებზე განხორციელებული საბანკო გადარიცხვა, მითითებულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნა და ა.შ.) ჩაითვლება მართლზომიერად.

13.3. პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ხელმოწერის შემდეგ ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს ხოლო ერთი ეგზემპლარი კი მიმწოდებელს.

ბიბა კობალაძე / ხელმოწერა

ზურაბ წერეთელი / ხელმოწერა

13.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.6. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება გათილია, მიუხედავად გათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების გათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს გათილი დებულების გარეშე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„მიმწოდებელი"

ააიპ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია
ს/კ 202065415,
თბილისი, კოსტავას 63, მე-2 სადარბ. მე-2 სართ.
სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის №GE84BG0000000282081700,
ტელ.:. 2 23 78 87
contact@gca.ge

გამგეობის თავმჯდომარე

/გიგა კობალაძე/

„შემსყიდველი"

ააიპ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი
ს/კ 404906170
ქ.თბილისი, ე. შარტავას ქ. N 7
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგ. GE24NB03 3010 0200 1650 22
ტელ: 2 37 84 52
culture@tbilisi.gov.ge

TBILISI CENTER OF CULTURAL ... 404906170

თავმჯდომარე

/ზურაბ წერეთელი/

ხელმოწერა /გიგა კობალაძე/

ხელმოწერა /ზურაბ წერეთელი/

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის

არარსებობის შესახებ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ა(ა)იპ ,,თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" მიერ გაფორმებულ N შ-11 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

გავეცანით წინამდებარე ხელშეკრულებას და შენიშვნები არ გაგვაჩნია.

---------- ზურაბ წერეთელი

---------- თამარ ფოცხიშვილი

---------- ეკატერინე ციხისელი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080117113195316

 # 561

12 / თებერვალი / 2016 წ.

აარპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 9 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა აარპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის“ SMP160000573 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია სხვადასხვა ნაწარმოებების საქართველოს ტერიტორიაზე საჯარო შესრულების შესახებ ნებართვა (CPV- 98100000).

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ცენტრის საქმიანობა მოიცავს კულტურული და საიუბილეო ღონისძიებების, კონკურსების ფესტივალების შემოქმედებითი პროექტების დაგეგმვას, ხელშეწყობას, ორგანიზებას, რა დროსაც დგება ნაწარმოებების საჯარო შესრულების საჭიროება. აღნიშნულზე ვრცელდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებართვის (ლიცენზიის) მოპოვების აუცილებლობა.

ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 65–ე მუხლის შესაბამისად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელის ქონებრივი უფლებების მართვას საქართველოში ახორციელებენ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციები, რომლებმაც ურთიერთწარმომადგენლობის თაობაზე დადეს ხელშეკრულებები უმრავლესი ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან. საქართველოში აღნიშნული სტატუსი მოპოვებული აქვს აარპ „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას'', რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს ქ. თბილისის სახელმწიფო რეგისტრაციის სამსახურის 2006 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება №585.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, იმდენად რამდენადაც, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, მხოლოდ ააიპ „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას" აქვს უფლება ნაწარმოების ამა თუ იმ სახით გამოყენებისთვის გასცეს ლიცენზია, შეაგროვოს სალიცენზიო შეთანხმებით გათვალისწინებული საავტორო ჰონორარი და გაანაწილოს შესაბამის უფლების მფლობელებზე ნაწარმოებების გამოყენების პროპორციულად. შესაბამისად, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებლობას.

ასევე, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

აღსანიშნავია, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ააიპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" SMP160000573 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე